#013918

LISI
DEVELOPMENT

13 ივნისი 2025

ქ. თბილისის მერიის არქიტექტურის სამსახურს

განმარტებითი წერილი

შუალედური გადაწყვეტილების AR11083580 09.06.2025 პირველ ხარვეზთან დაკავშირებით („ვინაიდან არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტოებით დგინდება, რომ ნაკვეთზე უნებართვოდაა მოწყობილი ღობე, საჭიროა წარმოადგინოთ მუნიციპალური ინსპექციის მიერ გამოცემული დადგენილება უნებართვო მშენებლობაზე და შესაბამისი ჯარიმის გადახდის ქვითარი“) გვინდა განგიმარტოთ, რომ მოცემულ მიწის ნაკვეთზე ძველი საკადასტრო კოდით 01.10.18.007.086, 2023 წლის 29 მაისს შეთანხმდა პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა-ბრძანება N6687403, სადაც გენერალური გეგმის ნახაზზე დატანილი იყო, როგორც საპროექტო შენობა, ისე ღობე. პროექტის კორექტირება და შესაბამისი ნებართვის გაცემა მოხდა ბრძანების ნომრით 7038944 (23.05.2024), სადაც ასევე ფიქსირდებოდა მეტალის ღობე.

განხილვაში მყოფი განაცხადის წარმოდგენის საფუძველი გახდა განაშენიანების რეგულირების გეგმის ცვლილება, რამაც გამოიწვია მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვრის კონტურის და საკადასტრო კოდის ცვლილებაც, (განახლებული საკადასტრო კოდი 01.10.18.007.122). შესაბამისად, მოცემული ღობე ასახულია როგორც კორექტირებულ პროექტში, ასევე პირვანდელ საპროექტო დოკუმენტაციაში.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან ღობის მოწყობა არ მომხდარა უნებართვოდ, გთხოვთ, გაითვალისწინოთ წარმოდგენილი ახსნა-განმარტება და მოცემული ხარვეზი დაადგინოთ აღმოფხვირად.

პატივისცემით,

ეკატერინე ბაკურაძე

უძრავი ქონების განვითარების დირექტორის მოადგილე

შპს “ლისი ფო” (ს/კ: 404859792)

Nekerchkhali str. # 6, Tbilisi 0159

tbi@lisi.ge / www.lisi.ge

T: (+995) 322 00 27 27